ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5790629

ნომერი: AR1872529

თარიღი : 13.01.2022

გაცემის თარიღი : 04.02.2022

გაცნობის თარიღი : 03.03.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოჯორი , კიკეთი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიანა მიქაძე პ/ნ 01024060174
- თბილისი ბ.კრავეიშვილის ქ. N 4ბ ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 13 იანვარს №AR1872529 განცხადებით მომართა ლიანა მიქაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 05 ნოემბრის №5667442 და 2021 წლის 25 ნოემბრის №5691322 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება/ბათილად ცნობა. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 08 ოქტომბრის №5631382 ბრძანებით ქალაქ თბილისში, კოჯორი, კიკეთში არსებულ, №81.01.01.333 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ორი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2021 წლის 05 ნოემბრის №5667442 ბრძანებით შეთანხმდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №81.01.01.333) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 25 ნოემბრის №5691322 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 25 ნოემბრიდან 2023 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2021 წლის 17 დეკემბრის №1740 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის 2021 წლის 08 ოქტომბრის №5631382 ბრძანება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდგომ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
წინამდებარე განცხადებით, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2021 წლის 17 დეკემბრის №1740 ბრძანებით სამსახურის 2021 წლის 08 ოქტომბრის №5631382 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, განმცხადებელი ითხოვს მის საფუძველზე გამოცემული სამსახურის 2021 წლის 05 ნოემბრის №5667442 და 2021 წლის 25 ნოემბრის №5691322 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებას/ბათილად ცნობას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლი განსაზღვრავს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლებს, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე სამსახურს უფლება აქვს ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონიერი აქტი, რომელიც, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით უნდა იყოს კანონიერი. ხოლო ამავე კოდექსის მე–60 პრიმა მუხლით, განსაზღვრულია აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები, კერძოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლით განსაზღვრული არცერთი საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2021 წლის 05 ნოემბრის №5667442 და 2021 წლის 25 ნოემბრის №5691322 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
რაც შეეხება, სამსახურის 2021 წლის 05 ნოემბრის №5667442 და 2021 წლის 25 ნოემბრის №5691322 ბრძანებების ბათილად ცნობის საკითხს, ზემოაღნიშნული აქტები თქვენს მიერ, 2022 წლის 13 იანვრის №19/01220131707-10, №19/01220131791-01 და №19/01220132989-10 ადმინისტრაციული საჩივრებით გასაჩივრებულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან. აღნიშნული საჩივრები დღვანდელი მდგომარეობით განხილვის პროცესშია.
შესაბამისად, სამსახური იმოქმედებს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.